საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კილაძე მერაბ არჩილის ძე

კილაძე მერაბ არჩილის ძე (დ. 2.VIII.1957, ბათუმი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2000). 1980 დაამთავრა თსსი; 1984–96 მუშაობდა ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1996–2003 ხელმძღვანელობდა II ქირურგ. კლინიკას; 1987–88 მუშაობდა მეიოს (როჩესტერი, აშშ) კლინიკაში, 1988–92 – ტოკიოს (იაპონია) ეროვნ. ონკოლოგიურ ცენტრში; მიუნხენის უნ-ტის ქირურგ. კლინიკაში (გერმანია) 1988–92 მოსკოვის ქირურგიის საკავშირო სამეცნ. ცენტრში, 2000–05 – ვიურცბურგის და ფრანკფურტის (გერმანია) უნ-ტის ქირურგ. კლინიკებში. 2003–11 იყო ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის ქირურგ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2011–21 – საქართვ.-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ ქირურგ. სამსახურის უფროსი. 2021-იდან ხელმძღვანელობს თბილ. „ამერიკულ ჰოსპიტალში“ ქირურგ. დეპარტამენტს.

1995-იდან არის თსუ-ის პროფესორი. 2006-იდან კლინ. ქირურგიის კათედრის გამგე. 2016–17 იყო გ. მუხაძის სახ. საქართვ. ქირურგთა საზ-ბის თავ-რე, არის ამერიკისა და ქირურგთა საერთაშ. კოლეგიების, ევროპის ქირურგთა და ონკოლოგთა საზ-ბების და რუსეთის ქირურგთა ასოციაციის წევრი.

კ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 3 მონოგრაფიის ავტორი, რ-ებიც ეხება ონკოლოგიის, ზოგადი ქირურგიის, მიკროქირურგიისა და ტრანსპლანტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001), არის ბათუმის საპატიო მოქალაქე (2014).